

რედაქცია

ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქოვის და სტამბაში, ამატუნის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქოვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типограф. ВЪ контору редакціи газеты „Дროება“, при типографіи Меликова.

გაზეთის ფასი

წელიწადში—8 მან., ნახევარ წელიწადში—4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან. ცალკე ნომერი—ერთი შაური.

განცხადება


მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.

განცხადების ფასი

წელი ასობით, ასობე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციკროთი, სტრიქონზე—5 კაპ. და პეტით—4 კაპ.

კანონი

თუ საქართვება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს. * * * დაუბეჭდელი სტატია ვერტორს არ დაუბრუნდება.



გამოდის კვირკობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

ცალკე ნომრები „დროებასა“ ისეიღება:

- გარტანდვის წიგნის მალაზიაში (ძუკიის ხილზე, მირზოვეის შენობაში)
- გრიშურკის წიგნის მალაზიაში (ძუკიის ხილთან, ზუბალოვის სახლში)
- „კარდანახის“ სარდაფში (სასახლის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში)
- „სულთანის“ თამბაქოს მალაზიაში (სულის ქვეშ)
- პარიკმანერ პირთან (პროსპექტზე)
- გრიგოლოვის მალაზიაში („ძვეჯის“ სასტ. ქვეშ, მირზოვეის სახლებში)

ფასი თითოეულ ნომრისა—5 კაპიკი

ხელის-მოწერა 1877 წლისა

მეთორმეტე წელიწადი გაზეთის არსებობისა

მომავალ 1877 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა იმავე პროგრამითა და მიმართულებით, როგორც წარსულს წლებში გამოდიოდა.

მომავალი წლიდან „დროების“ რედაქციის შრომაში უფრო დაახლოებულ მოწაწილობასა და შრომას მიიღებს ორი ჩვენი ნიჭიერი მწერალი-პუბლიცისტი: აკაკი წერეთელი და ნიკ. ნიკოლაძე.

ამათი და აგრეთვე სხვა თანამშრომლების დახმარებით, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ, რამდენათაც რედაქციისაგან დამოკიდებული და დამოუკიდებელი გარემოებანი ნებას მოგვცემენ, კიდევ უფრო საინტერესო, სასარგებლო და საქმიან გაეხადოთ ჩვენი გაზეთი მკითხველი საზოგადოებისათვის.

ხელის-მოწერა

მიიღება თ თ ი ს შ ი — „დროების“ რედაქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში (ბანოვის ქუჩაზე, ამატუნის სახლებში).

გარეშე მცხოვრებთა თანხანი მოთხოვნილება ამ აღრესით უნდა გამოგზავნონ: ВЪ Типограф. въ Типографіи Меликова.

სხვა ქალაქებში „დროებაზე“ ხელის-მოწერა შემდეგ პირებთან შეიძლება:

ჭუთაისში— სვ. მესხთან (სილაზე), შოთში—თ. ანტ. ლაზ. ნაკაშიძესთან და მლ. ბაბლოვთან, ახალ-სენაკს—ნიკ. ღვებუაძესთან, ზუგდიდს—თ. ტარ. ალექ. ღვდიანთან, ოსურბეთს— ანტ. ჯაყელთან, უშირის-ლაში—მ. ღვ. ღამბაშიძესთან, გორს—ალალო თუთაევთან, ახალციხეს იოსებ სულხანოვთან და თეაქასთან—თ. ლევან ჯანდიერთან.

გაზეთის ფასი—გაგზავნილი და გაუგზავნელად	მან.	კაპ.
წელიწადში	8	—
ნახევარ წელიწადში	4	და 50
საზის თვისა	2	და 50
მართის თვისა	1	—

ამვე საქმით ვრაცხთ გამოცხადდეთ, რომ გაზეთი ნისი-ათ არავის არ გამოგზავნება გარდა იმ პირებისა, რომელთათვის პასუხის-გებას თვითონ „დროების“ ავანტიები იკისრებენ.

მთხოვთ ჩვენ მომავალ ხელის-მოწერალებს, რომ თანხანი მოთხოვნილება დროზე გამოგზავნონ, რადგან უამისოთ იმათი აღრესების დაბეჭდვა დაგვიანდება; ვითხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მოწერათა სახელი; გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით იყოს დაწერილი და ყოველთვის, როცა აღრესს გამოიცვლიან, დროზე შეატყობინონ ეს რედაქციას.

გამომცემელი სტ. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მენსი.

საქართველო

საქართველოს გამოგზავნაზე

თითქმის დამტკიცებულ ქვეშაობა-ტებად შეიქნა ის პაზრი ჩვენზედ, რომ ერთობ დავებისა და საჩივრების მოყვარე ხალხი ვართ. „უდავოთ ქართველს, განსაკუთრებით იმერელს, ცხოვრება არ შეუძლიანო. სულ ტყუილ-უბრალო რაზედმე ასტეხენ ერთ დაუბოლოებელ საჩივარს, არის ერთი გაცხარებული სიარული და არზების მირთმევა სხვა და სხვა სასამართლოებში და კანცელარიებში!“ ასე ამბობენ ქართველებზედ.

არა გვგონია, რომ ვისმესთვის დავა და საჩივარი, სასამართლოებსა და კანცელარიებში თრევა სასიამოვნო და საყვარელი საქმე იყოს. მაგრამ ეს კი ნამდვილია, რომ იქნება არც ერთს ქვეყანაში არ იყოს შედარებით იმდენი საჩივრები და დავები, იმდენი სიარული სხვა და სხვა სასამართლოებში, რამდენიც ჩვენს ქვეყანაშია.

მაგრამ ამას რომ ვამბობთ, სამართალი მოითხოვს ისიც ვსთქვათ, რომ იქნება არც ერთს სხვა ქვეყანაში არ არის ისე დახლოებული და არეულ-დარეული მიწა-წყლისა და ადგილ-მამულის ვითარების საქმე, როგორც ჩვენში.

„დროების“ მე-27 ნომერში მოყვანილია ოფიციალური ანგარიში ძველსიის გამიჯნული და გაუმიჯნავი ადგილებისა; ამ ანგარიშიდან, სხვათა შორის, სჩანს, რომ თფილისის გუბერნია შეიცავს სულ 3,500-000 დესიატინამდის და აქედამ, თოთხმეტი წლის განმავლობაში (1862 წლიდან), გამიჯნულა სულ—1,225,216 დესიატინა; მაშასადამე გაუმიჯნავი დარჩენილა—2,274,784 დესიატინა. მუთაისის გუბერნიის მიწები შედარებით კიდევ უფრო ნაკლები არის გამიჯნული; ის შეიცავს—1,800,000 და აქედამ ჯერ მხოლოდ—275,030 დესიატინა გაუმიჯნავთ; გაუმიჯნავი რჩება—1,524,970 დესიატინა მიწა. შევლამ ვიცით, რომ ამ დაუბოლოებელი დავებისა და საჩივრების მიზეზი ის არის, რომ ჩვენში ასე ნაკლებად არის ადგილები გამიჯნული, რომ ათს ჩვენს მიწის მეპატრონეში იქნება ერთს ძლივს ჰქონდეს მამულები ისე გარკვეული და შემოთარგლული, რომ დავა არ ეჭირებოდეს თავის მესობლებთან; დანარჩენი ცხრა-მეთექვსი სწორეთ ისე ჰყოლობს მამულებს, თითქო ნათხოვარი ანუ არჩენილი აღებული მამული იყოს: არ იცის,

დღეს აუტეხენ დავას, თუ ხვალ, დღე-დღეზე მოელის მოჩივარს, რომელიც აცხადებს, რომ ეს ჩემი მეზობლის მამული ჩემ მამა-პაპათ ეკუთვნოდაო, მოწმები—დამსწრე კაცები—მყვანანო (ამათი შოენა, როგორც მოგვხსენებთ, ჩვენში ძნელი არ არის), გთხოვთ ჩამოართვათ, რადგან უკანონოთ ჰყოლობს, და მე ჩამაბარეთო.

იმ ტყუილ-უბრალოდ დროს დაკარგვისა და ხარჯს გარდა, რომელიც ამ დავებს მოსდევს, აქედამვე წარმოსდგება აგრეთვე ისიც, რომ მამულის მეპატრონეს სრულებით ხალისი არა აქვს, რომ რიგიანთ მოუაროს, შეამუშაოს და განაოყიეროს ის მამული, რომელსაც, მართალია, დღეს ჰყოლობს, მაგრამ ზომილიც ხვალ შეიძლება სხვამ, რომელიც მოდავემ ჩამოართვას და დაისაკუთროს. ეს გარემოება არის, ვიმეორებთ, სხვათა შორის, მიზეზი ჩვენის მეურნეობის დაცემასა, ჩვენი საუკეთესო სახნავე-სათესი ადგილების გავერანებისა და უყურადღებოდ დავლებისა.

იმ შემთხვევებულ „დროების“ შენიშვნაში ისიც არის გამოცხადებული, რომ, ძველსიის მხრის გამიჯვნის დაჩქარებისათვის, უმაღლესს მთავრობას განზრახვა აქვს, რომ გამიჯვნის უწყება მოაშოროს სასამართლო უწყებასა და იმისათვის ცალკე გამგებელი დანიშნოსო.

რასაკვირველია, ძალიან საქმიანია, რომ გამიჯვნის ჩინოვნიკები მხოლოდ თავის პირ-და-პირ მოვალეობაზე—გამიჯვნაზე იდგნენ და სასამართლო არ ართმევენდეს მათ დროს. მაგრამ, ჩვენის პაზრით, არც მარტო ეს ცვლილება კმარა; საქმიანია, აუცილებელად საქმიანია, რომ მთავრობამ უფრო ბლომათ იყოლიოს გამიჯნავი ჩინოვნიკები; უფრო ბევრი გამიჯნავეები მოჰყინოს ჩვენს ქვეყანას, თორემ, თუ ისე წავიდა საქმე, როგორც დღემდე მიდიოდა, მთელი ძველსიის პირველად გამიჯვნას, უეჭველია, ჩვენ ერთის საუკუნის განმავლობაშიაც ვერ ველირებთ, და მანამ ჩვენ ჩვენი დაგვემართება.

მართლა: ჩვენ გვახსოვს, რომ გასულ წაფხულს, მუთაისის საადგილო მამული ბანკის თხოვაზე კრების დროს, იქაურ თავად-აზნაურობამ გადაწყვიტა, უმაღლესს მთავრობას ვსთხოვოთ, რომ ჩვენს გუბერნიაში გამიჯვნის საქმე დაჩქაროსო. ამ გარიყე თხოვნა, თუ არ ვცდებით, თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამაც განაცხადა. ნეტა რა შედე-

გლახის შვილი.

მიცი, რომ გლახის შვილი ვარ,
არ ვარ დიდი გვარისაო.
დაბადებულამ მუშა ვარ
აგერ ცხრაშვიტი წლისაო.
სახელი მქვია, თუ არა,
მერ გამოგია ჯერაო:
სულ ყველა „ბიჭო!“ მიზრძანებს,
არ შემძლია. „ვერაო“.

Table with 3 columns: numbers, numbers, and dashes. Values include 10,278, 2,998, 13,358, 7,802, 16,941, 8,913, 2,092, 11,937, 7,687, 16,089, 879, 17,711, 3,170.

ბანსხალეზანი

ქალაქის გაგზომობისაგან
თფილისის ქალაქის გაგზომება
ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ
ამ მარტის 19-ს, გამგეობის თანდას-

ამ 1 მარტს ყოფილა ტირაქი
პირველი შინაგანი სესხისა,
რომელზედაც შემდეგ სერიებსა
და ბილეთებს რგებიათ მოგება.

Table with 3 columns: numbers, numbers, and numbers. Values include 10,193, 4,553, 6,269, 4,852, 17,896, 15,138, 14,053, 14,753, 8,282, 17,233, 16,605, 19,523, 7,625, 11,401, 19,069, 490, 2,370, 10,703, 19,853, 9,036, 13,338, 18,766, 10,993, 18,240, 6,914, 3,361, 11,628.

LA VELOUTINE (ველუთინი)
ერთნაირი ბრინჯის კუდრი
(უშარილი), ბისმუტით გაკეთებული.
ისეთი ზედმოქმედება აქვს
აღამიანის ხორცის კანზე, რომ
აღობოს და ახლოგაზდა აღამიანის კანს დაამსგავსებს.

მეიჯარადრე ქალაქის ცხენ-
ბის გადასახადისა თფილისის მე-
ორე გილდიის ეპარხი ხეჩო აბა-
ზის ძე აბაზოში ამითაცხადებს სა-
ყოველთაოთ, რომ ვისაც თავის სა-
კუთარის საჭიროებისათვის ჰყავთ
ეკიპაჟის ცხენები, აგრეთვე საბიჭრო
ფაეტონებისა და დროშკების ცხენე-
ბი და ტვირთის გადატანისათვის,

კვირაოვით, იარაშაში, უ. ზა
ქარია ჰიჭინაძესთან ისყიდება ყოველ-
ნაირი ძველი და ახალი ქართული
წიგნები. (10-8)

თფილისის სამკურნალო
(4 აპრილს)
თფილისის მედიკოსი, ჩიტაშვილის სახლებში
აეთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვი-
რას გარდა, დილის 8 საათიდან დილისვე
10 საათამდინ.
მ. რ. შაბათს: ექიმი მინკიევიჩი — ხირუ-
რგიულ აეთმყოფობისათვის, ბარალევიჩი და
ლისიცივი — შინაგანი აეთმყოფობისათვის.

Table with financial data: საბუჟენისლის გამსახეზაჟ-შემანახველი ამხანაგობისა
1 თებერვლიდან 1876 წლის 1 იანვრიდან 1877 წლისა.
შემოსავალი
წილის ფული — 1245 80
სარგებელი დაჭერილი გა-
სესხების და ახალი ვადის
მიცემის დროს — 202 44
დაბრუნებული სესხი — 1275 „
ჯარიმა — „ 72
შემდეგ აღებული ვალი 1000 „
ჯამი — 3723 96

Table with multiple columns: რა. გზა, დილა, საღამო, II კ., III კ., ცეცხლის გემები, შოშბა, ბირჟა, მაზანდა. Includes various numerical data and text entries.